# კარიერა საჯარო სამსახურში
# და გენდერული თანასწორობა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) შეისწავლა საჯარო სამსახურში ქალებისა და კაცების მიერ განვლილი განსხვავებული კარიერული გზებისა და კარიერული წარმატებისადმი სუბიექტური აღქმები. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდოლოგია. რაოდენობრივ ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1010-მა საჯარო მოხელემ (676 ქალი და 334 კაცი). სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 26 პირველი და მეორე რანგის საჯარო მოხელესთან (15 ქალი და 11 კაცი). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო 13-მა საჯარო მოხელემ (7 ქალი და 6 კაცი).

## ძირითადი მიგნებები

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ საჯარო სამსახურში ქალი და კაცი მენეჯერების მიერ განვლილი გზა განსხვავებულია და ეს განსხვავებები გამოხატულია სხვადასხვა კულტურული პრაქტიკით, რომელთა მიხედვით, საჯარო სამსახურში ვლინდება გენდერული უთანასწორობა.

## სამუშაო პირობები და გარემო

**რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით:**

- **64%** - მიიჩნევს, რომ საკუთარი სამსახურის პირობებით ქალები უფრო კმაყოფილები არიან.
- **83%** - მიიჩნევს, რომ საჯარო სამსახურში შეღავათების თვალსაზრისით (ოჯახურ სირთულეებთან, სწავლასთან და საცხოვრებლის სიშორესთან დაკავშირებით) უფრო მხარდაჭერილი ქალები არიან.
- **ქალების 67%** - თვლის რომ გაწეული საქმიანობის გამო საჯარო სამსახურში უფრო ახალისებენ/აჯილდოვებენ კაცებს, ხოლო გამოკითხული კაცების 76%-ს საწინააღმდეგო პოზიცია აქვს.
- ქალების 73% - თვლის, რომ საჯარო სამსახურში ქალებს უფრო მეტი უსიამოვნება და სტრესი შეიძლება შეხვდეთ, ვიდრე კაცებს. ამ მოსაზრებას იზიარებს **კაცების მხოლოდ 49%.**

**თვისებრივი კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები:**

- კაცებისთვის უხილავია საჯარო სამსახურებში არსებული პრაქტიკა, რომელიც გენდერულ უთანასწორობას იწვევს.
- საჯარო სამსახურში ქალისთვის მთავარ უსიამოვნებას სექსუალურ ობიექტად აღქმა წარმოადგენს, რომელსაც უსიამოვნო და ზღვარს გადასული რემარკები მოყვება.
- საჯარო სამსახურში ქალები უფრო მომთმენნი არიან შენიშვნების მიცემისა და ჩაგვრის მიმართ, ვიდრე - კაცები.

## საჯარო მოსამსახურეთა ხილვადობა და ძალაუფლება

**რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით:**

- **86%** - მიიჩნევს რომ კაცებს უფრო მეტი გავლენა და ძალაუფლება აქვთ;
- **69%** - ფიქრობს, რომ სამსახურებრივი საქმიანობის დროს კაცები უფრო დაფასებულები არიან;
- **კაცების 85%** მიიჩნევს, რომ თანაბარი უნარების მქონე ქალები და კაცები სჯარო სამსახურში თანაბრად ხილვადები არიან, მაშინ, როდესაც მსგავს მოსაზრებას ეთანხმება **ქალების მხოლოდ 58%.**
- როგორც ქალი, ასევე კაცი საჯარო მოხელეების **თანაბარი პროცენტი (79%)** აღნიშნავს, რომ ქართული საჯარო სივრცე უფრო კაცურია ვიდრე ქალური.

**თვისებრივი კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები:**

- ქალებს უფრო წერით უნარებს უწონებენ საჯარო სამსახურში, თუმცა მათ წარმომადგენლობითი როლის შესრულების ნაკლები შესაძლებლობა ეძლევა.
- ქალი რესპონდენტების მონაყოლიდან ვლინდება, რომ საჯარო სამსახურში არსებობს **უხილავი გენდერული იერარქია,** სადაც კაცი თითქოს უფრო მაღლა დგას იერარქიულად, ვიდრე ქალი.

## კარიერული წარმატება

**რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით:**

- **71%** - მიიჩნევს, რომ კარიერულ გზაზე კაცები უფრო სწრაფად აღწევენ წარმატებას;
- კარიერულ გზაზე მამაკაცთა უპირატესობა მიღებულია იმ ფონზე, როდესაც რესპოდენტთა 70% მიიჩნევს, რომ ქალები უფრო მეტად ფლობენ კარიერული წარმატების შესახებ თეორიულ ცოდნას.
- მეოთხე რანგის საჯარო მოხელეების 81% აღნიშნავს, რომ კარიერულ გზაზე კაცები უფრო სწრაფად აღწევენ წარმატებას. ეს მაჩვენებელი რანგების ზრდასთან ერთად ეტაპობრივად იკლებს და პირველი რანგისათვის შეადგენს 59%-ს.
- მხოლოდ 6% მიიჩნევს რომ, საჯარო სამსახურში კარიერის განვითარების სიტემა ძალიან ეფექტურია, ხოლო 26% - რომ ეფექტურია.

**თვისებრივი კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები:**

- განათლების სხვადასხვა საფეხურზე ქალები უკეთეს აკადემიურ მიღწევებს აჩვენებენ, მაგრამ როგორც კი ხვდებიან საჯარო სამსახურში, ხდება მათი „შეჩერება“.
- ქალების წარმატებისკენ სვლა მათი აკადემიური მაჩვენებლების პირდაპირპროპორციული არ არის.
- რადგან ქალები უფრო მომთმენნი არიან, ნაკლებად აღწევენ კარიერულ წარმატებას და ამჯობინებენ ჩრდილში ყოფნას.
- თუ ქალი მომთმენი არ არის და კრიტიკულია, ესეც ხელს უშლის წარმატების მიღწევაში.

British Embassy Tbilisi

UKaid from the British people

IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

UNDP Empowered lives. Resilient nations.

მომზადებული და გამოცემულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.